3. შ.პ.ს. "ანა"-ს დაევალოს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში: საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: **300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე;

4 საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "ანა"-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა;

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით;

6. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ;

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (ქ. თბილისში, შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
პირველი მოადგილე

მ. ჯაფარიძე

ადასახადო დავალება
ment Order

0 GEL

თარიღი / Date: 21/04/2017

ს.ს. „თიბისი ბანკი"

21/04/2017 11:33:11 AM

გადამხდელი / sender

შპს ანა, 406045783

რეფერენსი / Ref. Num.

1599912994

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE73TB7025336020100008

თანხა / Amount

გადამხდელის ბანკი / Sender's bank

ბანკის კოდი / Bank Code

სს თიბისი ბანკი TBCBGE22

8,000.00 GEL

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა

inforamtion on a person on behalf of whom the payment is made

თანხა სიტყვიერად
Amount in words

დასახელება / Name შპს ანა, 406045783

რვა ათასი ლარი 00 თეთრი

საიდენთიფიკაციო კოდი / Sender"s Tax Code 406045783

მიმღები / ReceIver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

გადარიცხვის საკომისიო
Transfer Fee

5.6 GEL

1599912994

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc. /Treasury Code 300773263

მიმღები ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ბანკის კოდი / Bank Code

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური TRESGE22

ბანკში საგადასახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი/Document submission/receiving date
21/04/2017

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ხელმოწერა

დამატებითი ინფორმაცია / Additional information

დადგენილება N 002410 სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე

Signature

შტამპის ადგილი

ხელმოწერები

Signatures

ბ.ა.

ბანკის ოპერაციული

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.საგადახდო დავალების საკომისიოს დათვლის პრინციპი შეგიძლიათ იხილოთ ბანკის ინტერნეტ გვერდზე: www.tbcbank.ge

№ ზა/ზ ა9ვ-14

"20" 04 2017 წ.

დადგენილება №002410
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

20.04.2017წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7

მე, სამსახურის უფროსის პირველმა მოადგილემ მამუკა ჯაფელმა განვიხილე 2017 წლის 9 მარტის №002410 მითითება და 2017 წლის 17 მარტის №002410 შემოწმების აქტი შედგენილი შ.პ.ს. "ანა"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №406045783, დირექტორი თორნიკე შოთაძე, პირადი №01030006853, მის: ქ. თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. №163, ბ. №43) მიმართ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა" პუნქტით გათვალისწინებულ სამშენებლო სამართალდარღვევაზე და გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, I მ/რ, №13 და №15 კორპუსების მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.20.001.030-ში შ.პ.ს. "ანა"-ს მიერ განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე: მოწყობილია საძირკველი, ლითონის მოაჯირი და ბოძები, ამოყვანილია კედლები, რომლის ნაწილიც ცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

სამსახურის სპეციალისტის მიერ 2017 წლის 9 მარტს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად შედგენილი №002410 მითითებით სამართალდამრღვევს განესაზღვრა შვიდი კალენდარული დღის ვადა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის წარმოსადგენად ან უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დემონტაჟისათვის უსაფრთხოების წესების დაცვით.

საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ 2017 წლის 17 მარტს შედგა №002410 შემოწმების აქტი, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2017 წლის 4 აპრილს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის თაობაზე კანონით გათვალისწინებული წესით ეცნობა მხარეს, რომელიც სხდომაზე არ გამოცხადდა.

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, 2 378 396

2017 წლის 12 აპრილს მოცემულ საქმესთან დაკავშირებით კვლავ გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის თაობაზე კანონით გათვალისწინებული წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "ანა"-ს დირექტორი თორნიკე შოთაძე (პირადი №01030006853), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება. მანვე აღნიშნა, რომ სამშენებლო სამუშაოები შ.პ.ს. "ანა"-მ განახორციელა 2017 წელს. სამუშაოების დაწყებამდე მათ არაერთგზის სცადეს სატრანსპორტო ზონის შეცვლა, თუმცა უშედეგოდ, რის გამოც აუცილებლობიდან გამომდინარე განახორციელეს სამშენებლო სამუშაოები. დემონტაჟს არ აპირებენ და აპირებენ დოკუმენტაციის მოწესრიგებას.

საქმეშია, შ.პ.ს. "ანა"-ს №19/01171091556-17 19.04.2017წ. წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საჯარო რეესტრში საკადასტრო საზღვრების კორექტირებით მათ მიერ აღმოფხვრილია დარღვევა წითელ ხაზებთან დაკავშირებით და წარმოდგენილია სათანადო მტკიცებულებანი. ამავე წერილით, მხარე ეთანხმება სამსახურის №002410 09.03.2017წ. მითითებით დაფიქსირებულ სხვა დარღვევებს და მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება მხარის დაწყების გარეშე.

საქმეშია, ასევე ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; სამსახურის აზომვითი ნახაზი 19.04.2017წ. რომლითაც დასტურდება, რომ უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები მოქცეულია №01.19.20.001.030 საკ. კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრებში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "ანა"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით, კერძოდ, ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, I მ/რ, №13 და №15 კორპუსების მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.20.001.030-ში შ.პ.ს. "ანა"-ს მიერ განხორციელდა სამშენებლო სამუშაოები შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაციის გარეშე: მოწყობილია საძირკველი, ლითონის მოაჯირი და ბოძები, ამოყვანილია კედლები.

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის „გ" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 44-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ" პუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. "ანა" დაჯარიმდეს 8000 (რვაათასი) ლარით, ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, I მ/რ, №13 და №15 კორპუსების მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.20.001.030-ში უნებართვოდ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისათვის (საძირკვლის, ლითონის მოაჯირის და ბოძების მოწყობისათვის, ასევე კედლების ამოყვანისათვის);

2. შ.პ.ს. "ანა"-ს დაევალოს ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, I მ/რ, №13 და №15 კორპუსების მიმდებარედ, საკ. კოდი №01.19.20.001.030-ში უნებართვოდ განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების (მოწყობილი საძირკვლის, ლითონის მოაჯირის და ბოძების, ასევე ამოყვანილი კედლების) დემონტაჟი;